MES 5 20 0001138159

30/11/2020

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 13.11.2020**
**სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 20:00 სთ**
**საბჭოს თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა**
**სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
3. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;

7. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
12. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
15. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

**სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | ნინო სარჯველაძე | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 2 | ლაშა მაჭარაშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |
| 3 | ლალი ოდიშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | მარიამ მესხიშვილი-ეფაძე | შპს უმაღლესი სასწავლებელი „მილენიუმი“ | რექტორი | I |
| 2 | დევი ხვედელიანი | | ვიცე-რექტორი | I |
| 3 | ზვიად მურადაშვილი- | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი | I |
| 4 | ნატალია ბარათელი | | რექტორის მრჩეველი | I |
| 5 | პაატა აბულაძე | | რექტორის მრჩეველი | I |
| 6 | მაია ჩეჩელაშვილი | | პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 7 | ვახტანგ ანთია | | პროფესორი | I |
| 8 | ნათელა მარტინენკო | | ასოცირებული პროფესორი | I |
| | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | მედეა ჭელიძე | | მოწვეული | I |
| 10 | ნინო ხიდირბეგიშვილი | | მოწვეული | I |
| 11 | ნატალია ჭანტურია | | მოწვეული | I |
| 12 | მაკა ბერიძე | სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | უნივერსიტეტის რექტორი | II |
| 13 | ნინო მილაშვილი | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | II |
| 14 | ლერი ნოზაძე | | პროგრამის ხელმძღვანელი | II |
| 15 | ლელა წითაშვილი | | პროგრამის თანახელმძღვანელი | II |
| | | | | |

**აკრედიტაციის ექსპერტები**

| N | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | ეკა გეგეშიძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 2 | დავით ქარცივაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 3 | დავით ბურჯანაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | I |
| 5 | ნანი არაბული | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 6 | ნათია დაღელიშვილი | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 7 | მაქსიმ იავიჩი | (ჩაერთო „ზუმით“) | II |
| 8 | ნინო ტალიკაძე | (ჩაერთო „ზუმით“) | II |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი გეგენავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის - " ბიზნესის ადმინისტრირების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;

2. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "ბიზნეს-ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;

3. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის - " ბიზნესის ადმინისტრირების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;

2. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "ბიზნეს-ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;

3. სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ;

სხდომაზე საკითხების განხილვის დაწყებამდე უმაღლესი განათლების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა ლალი ოდიშვილმა დამსწრე წევრებს გააცნო

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი კორესპონდენცია. აღნიშნული წერილით საგანმანათლებლო დაწესებულება აცნობდა ცენტრს, რომ ადმინისტრაციის თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შეძლებდნენ 2020 წლის 17 ნოემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დასწრებას და განსახილველი საკითხებიდან სააპელაციო საბჭოს მიერ დაბრუნებული - "ფსიქოლოგიის“ და „ქრისტიანობის ისტორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხების ხელახალი განხილვის გადადებას.
საკითხის სრულყოფის შესწავლის მიზნით აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილა საბჭომ და ცენტრს მიმართა შუამდგომლობით ეცნობებინათ საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის.

**1. პირველი საკითხი:** შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის - " ბიზნესის ადმინისტრირების" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 9 | სწავლების ენა | რუსული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 11 | განხორციელების ადგილი | ქსნის ქ. № 35. თბილისი, 0140, საქართველო |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამა ბაზარზე ძალიან მოთხოვნადია და რომ მსგავსი პროგრამის არსებობა საკმაოდ მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ტურიზმისათვის. მან ასევე დაამატა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ხასიათდება დადებითად, თუმცა არსებობს რიგი გამოწვევები და გამოსასწორებელი საკითხები, რომელზეც უნდა იზრუნოს უნივერსიტეტმა და პროგრამის ავტორებმა. კერძოდ, რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების დახვეწა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიზნები მოიცავდეს ინფორმაციას, იმის შესახებ თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. ასევე, სასწავლო შედეგი - აცნობიერებდეს ბიზნესის კომპლექსური სფეროების როლს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის მისაღწევად - მოცემულ პროგრამაში უნდა დაემატოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების საკითხების მომცველი კურსები, სხვა შემთხვევაში აღნიშნული შედეგი ვერ მიიღწევა. ასევე, მისი მოსაზრებით, ამ შედეგის გაზომოვისათვის აუცილებლია მინიმუმ ერთ-ერთი მიმართულების დავალება მაინც ჰქონდეთ სტუდენტებს, შეიძლება ეს იყოს პროექტის მომზადება ან განხორციელება. სასწავლო პროგრამაში უნდა იყოს საკითხები გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ. შემდეგი რეკომენდაცია მისი თქმით არის ის, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს რუსული ენა, რომელიც ადეკვატურად უნდა აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში. მისი თქმით საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა დასაკონკრეტებელია, ამიტომ რეკომენდირებულია მათი მხრიდან საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განსაზღვრულ იყოს სპეციალური სავალდებულო სასწავლო კომპონენტები, გარდა პროფესიული პრაქტიკისა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძვლები და მეწარმეობა შინაარსობრივად ძალიან ჰგავს ერთმანეთს. გარდა ამისა, მეწარმეობა ნაკლებად შეესაბამება საუკეთესო სამეწარმეო პრაქტიკის სასწავლო კურსს, სწორედ ამიტომ ექსპერტის თქმით რეკომენდირებულია მეწარმეობის სასწავლო კურსის ჩანცვლება. სასწავლო კურსები: ბიზნესის საფუძლები, მეწარმეობა, ფინანსების საფუძვლები, საგადასახადო საქმე, საჯარო ფინანსები და ბიზნეს სამართალი არსებითად გადასახედია, რადგან მათში გამოყენებულ სასწავლო მასალებში ძირითადად რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი მოწყობის საკითხებია ასახული. აუცილებელია ამ კურსებში ინტეგრირებული იყოს ქართული და მსოფლიო მიდგომები. სილაბუსში არ არის გამოტანილი სამართლებრივი მოწყობის რომელ ქვეყანაზეა საუბარი, თუმცა სასწავლო

მასალებში ისევე, როგორც ძირითად წყაროებში მხოლოდ რუსულ სამართლებრივ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული, რაც მისი თქმით ძალიან სერიოზული გამოწვევაა. ასევე, რეკომენდაციები იყო წინაპირობებთან დაკავშირებით, რეკომენდირებულია კორპორაციული ფინანსების საფუძვლების წინაპირობად განსაზღვრულ იქნეს ფინანსური აღრიცხვა. ამ კურსის შესწავლისას სტუდენტი კარგად უნდა კითხულობდეს ფინანსურ ანგარიშებს. ფინანსური აღრიცხვის წინაპირობად განისაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვა, ხოლო პროექტების მართვის წინაპირობად განისაზღვოს მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტის ნაცვლად. ექპერტმა პროგრამის ხელმძღვანელებს მოუწოდა, რომ კარგად შეესწავლათ რუსულენოვან ბაზარზე არსებული მსოფლიო სასწავლო ლიტერატურის თარგმანები და მოეხდინათ მათი გამოყენება სასწავლო კურსებში. ექსპერტის თქმით, სწავლა სწავლების მეთოდების კურსების შინაარსთან შესაბამისობის უკეთ გამოსაკვეთად მნიშვნელოვანია სილაბუსებში გამოყოფილი იყოს ცალ-ცალკე სწავლა სწავლების მეთოდები და აქტივობები. ექსპერტმა, ასევე გაამახვილა ყურადღება, რომ ხარისხის მართვის სამსახურმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისგან წარმოდგენილი უკუკავშრის მიღება.

ექსპერტებმა ასევე შეიმუშავეს გარკვეული რჩევები, კერძოდ:

- კარგი იქნება თუ მოხდება სამიზნე ნიშნულებზე დაკვირვება და მისი მიზანმიმართული მოდიფიცირება;
- სასურველია უნივერსიტეტმა სტუდენტთან მოახდინოს უფრო მეტი კომუნიკაცია იმაზე, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს;
- კარგი იქნება, თუ მმართველობითი აღრიცხვის წინაპირობად განისაზღვრება მიკროეკონომიკა;
- სასურველია, ფინანსების საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს მაკროეკონომიკა, ფინანსური აღრიცხვის ნაცვლად;
- თანამედროვე მიდგომებით მეწარმეობის კურსის სწავლებისათვის სასურველია გათვალისწინებული იქნას ევროკომისიის მიერ შემუშავებული სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩო, ბმული https://ec.europa.eu/jrc/en/publication/eur-scientific-and-technical-research-reports/entrecomp-entrepreneurship-competence-framework ;
- სასურველია უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ დეტალურად ჩამოყალიბდეს მუდმივმოქმედი სააპელაციო კომისიის შემდგომი რეაგირების მექანიზმები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.**

პროგრამის ხელმძღვანელმა მაია ჯიჯელაშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის მიზნების ნათლად ჩამოყალიბებას, აღნიშნა, რომ დაწესებულებას პროგრამის მიზნები სამ პუნქტად აქვს ჩამოყალიბებული და ზუსტად ისე ზუსტად ისე გაწერილი, როგორც ექსპერტთა რეკომენდაციაშია მითითებული. მისი თქმით, აღნიშნული მიზნები რეალისტური, ნათლად აღწერილი და მიღწევადია. პროგრამის მიზნებში ჩამოყალიბებულია თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგებს მან აღნიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის აღსანიშნავია ისეთი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზეა მორგებული. მისი თქმით მათი პროგრამა სწორედ ასეთია, რადგან მას ახლავს ბაზრის კვლევა, რაც ადასტურებს მის მოთხოვნადობასა და

აქტუალურობას. ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები სტუდენტს აძლევს საშუალებას გააცნობიეროს ბიზნესის როლი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. მოცემული პროგრამებია: მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ეკონომიკური ანალიზი. ამ პროგრმების მიზნების მიხედვით, სტუდენტებს ექნებათ საშუალება მიიღონ ფართო ცოდნა ეკონომიკური მოვლენების შესახებ, რომლებიც მოიცავს ეკონომიკური პროცესების არსს. თანმიმდევრული განვითარების გამოცდილების საფუძველზე ისინი შეასწავლიან სტუდენტებს აბსტრაქტულ აზროვნებას და პრაქტიკული წინადადებების შემუშავებას, არგუმენტების საფუძველზე შეასწავლიან ეკონომიკურ ანალიზს მეთოდებზე დაყრდნობით, ასევე, მოვლენების განვითარების პროგნოზირების მეთოდებს. სავალდებულო კურსები, როგორიცაა, პროფესიული პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი - უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა გააცნობიეროს ბიზნესის კომპლექსური სფეროების როლი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში მითითებულია ძირითადი სასწავლო კურსები: სტრატეგიული მენეჯმენტი, ეკონომიკური ანალიზი, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. აღნიშნული კურსები ასევე ეხმარება სტუდენტს ბიზნესის როლის გაცნობიერებაში. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა სწავლის შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირ მეთოდებზე. პირდაპირი მეთოდია პროფესიული პრაქტიკა და სადიპლომო ნაშრომი, ხოლო არაპირდაპირი სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები. განათლების მთლიანი სისტემა ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ მდგრადობას ემსახურება. პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ დაწესებულება მზადაა გაითვალისწინოს რეკომენდაცია, მათ აქვთ სახელმძღვანელო - მდგრადი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები,რომელიც მიზნად დაისახავს სტუდენტს შეასწავლოს ცალკე მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები, ასევე, განვითარების ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის ინდიკატორები და მდგრადი განვითარების როლი თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში, მდგრადი განვითარების ტენდენციები და პრობლემების მსოფლიოსა და საქართველოში. იგი აღნიშნავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ვახტანგმა.. აქცენტი გააკეთა მდგრადი განვითარების პრობლემებზე ბიზნესის კონტექსტში. მან აღნიშნა, რომ ნაწილობრივ იზიარებს ამ მიმართულებით შენიშვნას. ასევე, მან ისაუბრა, რომ ბიზნესთან და სამეწარმეო თემატიკასთან გაეროს მიერ აღიარებული მდგრადი განვითარების 17 პრინციპი და 169 ინდიკატორი, იგივეა რაც ე.წ. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და სამეწარმეო აქტივობის ეთიკური ნორმების დაცვა. მან აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამის ცალკეულ საგნებში, როგორიცაა კორპორაციული მენეჯმენტი, სილაბუსში მითითებულია მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელი არის ყველა დაინტერესებული პირის და აქტორების ინტერესების რეალიზაცია. აქვე აღნიშნავს, რომ ამავე საგანში კარგადაა ჩამოყალიბებული და გამიჯნული ერთმანეთისგან ე.წ. შიდა და გარე დაინტერესებულ პირთა კატეგორიები, განხილულია კორპორაციული სტრუქტურების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ფორმები, კორპორაციული კულტურის მნიშვნელობა, რომელიც ცალსახად არის დეტერმინირებული სწორემ მდგრადი განვითარების ზემოაღნიშნული 17 პრინციპით. მან ასევე ისაუბრა ცალკეული საგნების მიმართულებებზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ყველა ჩართული მხარის შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალური სინერგიის უზრუნველყოფა, ინკლუზიურობისა და თანაბარი შესაძლებლობების გარემოს ფორმირება. მან ასევე ისაუბრა მარკეტინგის მიმართულების საგნებში გათვალისწინებულია ხარისხის, ISO-ს სტანდარტები და ამ მხრივ ისეთი აქტიური სტეიკჰოლდერების, როგორებიც არიან მომხმარებლები, მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება, რაც მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საკვანძო კომპეტენციასა და მიმართულებას წარმოადგენს. მან ასევე აღნიშნა, რომ მათ გაკეთებული აქვთ სილაბუსი და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან ერთად აპირებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელოს რუსულენოვანი

ადაპტირებული რიდერის შექმნას და ამ მიმართულებით ექსპერტთა შენიშვნის გათვალისწინებას.
ქალბატონი ნატალია გადავიდა პროგრამის დაშვების წინაპირობაზე, მათ დაშვებული ჰქონდათ ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ პროგრამაში ეწერათ ინგლისური ენა, ხოლო თვითშეფასებაში რუსული ენა. ამის თაობაზე ექსპერტემბაც აღნიშნეს, რომ იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. მან აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობაა რუსული ენა და მოცემული ტექნიკური ხარვეზი უკვე გასწორებულია. მან ასევე ისაუბრა, რომ მათ გაძლიერებული აქვთ ინგლისური ენის სწავლება, რომელიც მოიცავს 25 კრედიტს, რასაც ემატება პროფესიული ინგლისური ენის სასწავლო კურსები თავისი შესაბამისი მოცულობით. ქალბატონმა ნატალიამ ყურადღება გაამახვილა, რუსული ენის ტესტირებაზე და აღნიშნა, რომ ეს არ ეხება ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ სტუდენტებს, არამედ ეხება უცხოენოვან სტუდენტებს, რომლებიც განაცხადს გააკეთებენ პროგრამაზე სწავლის მიზნით.
რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს, საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული და მასში აღნიშნულია, რომ სტუდენტებისათვის მისი შესრულების წინაპირობას პროფესიული პრაქტიკა წარმოადგენს. ეს გამომდინარეობს საბაკალავრო ნაშრომის მიზნიდან, კერძოდ, სტუდენტმა საბაკალავრო ნაშრომის მომზადებით უნდა მოახდინოს მიღებული ცოდნის დემონსტრირება ბიზნესის კომპლექსური მიმართულებით. მან ბიზნეს იდეაზე დაფუძნებით უნდა მოამზადოს ბიზნეს პროექტი. აქცენტი გადატანილია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესში მიღებული თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით პრაქტიკული უნარების დემონსტრირებაზე. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა იმაზე, რომ ბიზნეს ადმინისტრირების პროფესიული პრაქტიკის გარეშე, მიზნის სრულყოფილად მიღწევა გაძნელებული იქნება. მან აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად პროფესიული პრაქტიკის განსაზღვრა განაპირობა როგორც რეალურ სამუშაო გარემოში სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გაღრმავების და პროფესიონალურად ჩამოყალიბების ხელშეწყობის საშუალებამ, ასევე გარე შეფასებამაც. ჰუმანიტარული და ეკონომიკური აკადემიიდან მათ მიიღეს რჩევა იმის შესახებ, რომ მაქსიმალურად გაზრდილიყო პროფესიული პრაქტიკის კრედიტების რაოდენობა და საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განსაზღვრულიყო პროფესიული პრაქტიკა,რადგან პრაქტიკული უნარები და თეორიული ცოდნა საფუძველს უყრის კვლევის უნარებს. ამასთანავე, პროფესიული პრაქტიკის წინაპირობაა, რომ სტუდენტს აუცილებლად ჰქონდეს გავლილი 34 სავალდებულო კურსი 170 კრედიტის მოცულობით, შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა არის 35 სავალდებულო სასწავლო კურსი 185 კრედიტის მოცულობით. მათ გაიზიარეს ასევე ექსპერტთა რეკომენდაცია და სასწავლო კურსის კორპორაციული ფინასნების საფუძვლების წინაპირობად განისაზღვრა ფინანსური აღრიცხვა, ხოლო სასწავლო კურსის ფინანსური აღრიცხვის წინაპირობად განისაზღვრა ბუღალტრული აღრიცხვა. სასწავლო კურსებს - „ბიზნესის საფუძვლები“ და „მეწარმეობა“ განსხვავებული მიზნები და შესაბამისად, განსხვავებული შედეგები აქვს. თუკი შევადარებთ ამ ორი კურსის სილაბუსების თემატიკას, ვნახავთ, რომ არცერთი თემა არ მეორდება. მან აღნიშნა, რომ მათ შესწავლილი აქვთ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო და მიაჩნიათ, რომ ამ სასწავლო კურსის შესწავლა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სტუდენტებისათვის სავალდებულო და აუცილებელია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, აუცილებლად გაითვალისწინებენ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ ჩაანაცვლონ სასწავლო კურსი „მეწარმეობა“ და ამავდროულად რჩევას, რომ თანამედროვე მიდგომებით „მეწარმეობის“ კურსის სწავლებისათვის სასურველია გათვალისიწნებულ იქნას ევროკომისიის მიერ შემუშავებული სამეწარმეო კომპეტენციათა ჩარჩო. იგი ასევე აღნიშნავს, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების თემატიკაში არსად არ არის რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი საკითხები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა რომ ევროკავშირის ჩარჩო დოკუმენტი პირდაპირ არ მიესადაგება საქართველოს რეალობას. აღნიშნული სახელმძღვანელო გათვალისწინებულია

პირდაპირ ევროკავშირის ქვეყნებისათვის და მოქალაქეებისათვის და ითვალისწინებს თუ რა ბიზნეს იდეები შეიძლება განხორციელდეს ევროკავშირში, რა ფინანსებით და რა მოდელებით. რასაკვირველია, შესაძლებელია ზოგიერთი საკითხი ინტეგრირებულ იქნეს სასწავლო პროცესში, მაგრამ როგორც სახელმძღვანელო ვერ იქნება გამოყენებული. დაწესებულების წარმომადგენელი განმარტავს, რომ სასურველი იქნებოდა ექსპერტებს მიეთითებინათ ასოცირების შეთანხმებიდან განსაზღვრული ის სამოქმედო გეგმა, რომლითაც ჩვენი კანონმდებლობა და სტანდარტები უნდა დაუახლოვდეს ევროკავშირს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსის „ოპერაციული მენეჯმენტი“-ს წინაპირობა სასწავლო კურსი „მენეჯმენტის საფუძვლებია“, შესაბამისად, მენეჯმენტის საფუძვლები სასწავლო კურსის „პროექტების მართვის“ წინაპირობასაც წარმოადგენს. სასწავლო კურსის „ოპერაციული მენეჯმენტის კონტენტი“ შედგება ისეთი თემებისგან, როგორებიცაა პროექტების მართვა, პროგნოზირება და მატერიალური პროდუქციის პროექტირება, საწარმოო სიმძლავრეების დაგეგმვა, საწარმოო ობიექტების ადგილმდებარეობის დაგეგმვა, ადამიანური რესურსებისა და შრომითი პროცესების მენეჯმენტი. ამ ცოდნაზე დაყრდნობით სტუდენტი სწავლობს პროექტის კონცეფციის შემუშავებას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, დაფინანსებას, ღირებულების მართვას, შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, თვლიან, რომ სასწავლო კურსის „პროექტების მართვის“ წინაპირობა შეიძლება რომ იყოს ოპერაციული მენეჯმენტი. გარდა ამისა, დღეს, ვისაც აქვს საქმე პროექტების განხორციელებასთან, მათთვის კარგადაა ცნობილი, რომ თუ არის მოპოვებული რაიმე დაფინანსება პროექტზე, კონპანიაში იქმნება კონკრეტული ადამიანების ჯგუფი, რომელიც ამთავრებს ერთ პროექტს, ხოლო როდესაც მეორე პროექტი იქმნება, ახალი ჯგუფი ხელმძღვანელობს მას. იგი აღნიშნავს, რომ პროექტების მართვაში ერთი ადამიანი არც ერთ კომპანიას არ ჰყავს. ეს არის სხვადასხვას სპეციალისტებისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მუშაობს ერთ კონკრეტულ პროექტზე. ისინი არიან სხვადასხვა ბიზნეს პროცესის პროფესიონალები. იგი აკონკრეტებს, რომ როდესაც მათ „პროექტების მენეჯმენტის“ წინაპირობად მიიჩნიეს „ოპერაციული მენეჯმენტი“, სწორედ ზემოაღნიშნული გარემოება ჰქონდათ მხედველობაში.

რაც შეეხება სტანდარტების შესაბამისობის აღწერის მიმოხილვას, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს და დაწესებულებაც ეთანხმება მათ.

დაწესებულებამ 2.3 სტანდარტზე აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციაში გაპარულია ტექნიკური ხარვეზი ,რადგან 2.3 ქვესტანდარტის პირველი რეკომენდაცია იგივეა რაც 2.2. ქვესტანდარტის მე-4 რეკომენდაცია .

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა, რომ მათ შესწავლილი აქვთ რუსულ ბაზარზე გამოცემული უცხოური სახელმძღვანელოების თარგმანები. მათ აღნიშნეს, რომ ბაზარზე ამერიკული და ბრიტანული სახელმძღვანელოები ძალიან ოპერატიულად ითარგმნება და ეს სახელმძღვანელოები კარგად არის ცნობილი. მათ ასევე ისაუბრეს იმ პრობლემაზე, რა მიზეზითაც ვერ ჩართეს არსებულ პროგრამაში აღნიშნული სახელმძღვანელოები. ერთ-ერთი წიგნი 1999 წელს არის თარგმნილი, საქართველოში ითარგმნა და გამოიცა 2011 წელს, მათი აზრით 1999 წლის წიგნი რომ ჩაერთოთ სწავლის პროცესში შესაბამისობის საკითხი დადგებოდა გამოცემის წელთან დაკავშირებით. მეორე წიგნი გამოიცა რუსეთში, 2008 წელს . დაწესებულება უშვებს რომ შესაძლოა ეს წიგნები იქნეს ჩართული პროგრამაში, თუმცა ისე, როგორც დამატებით, მეორე სახელმძღვანელო. იგი აღნიშნავს, რომ მათ ეცადეს მოეპოვებინათ 2017, 2018, 2019 წლის გამოცემები.

დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ 2.5 სტანდარტის პირველი რეკომენდაცია იგივეა რაც 2.2 ქვესტანდარტის მეოთხე რეკომენდაცია, ხოლო მე-2 რეკომენდაცია სხვაგვარი ფორმულირებით თითქმის იმეორებს 2.2 სტანდარტის მე-4 რეკომენდაციას. იგი ამბობს, რომ დაწესებულება ქვესტანდარტის შეფასება დაუსაბუთებელია და შეფასებას არ ეთანხმება.

2.5 სწავლა სწავლების მეთოდების შესახებ ამგვარი რეკომენდაცია იყო გაცემული: სწავლა-სწავლების მეთოდების კურსების შინაარსთან შესაბამისობის უკეთ გამოსაკვეთათ, საჭიროა სილაბუსებში გამოყოფილ იქნას ცალ-ცალკე სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები, რადგან სტანდარტის მოთხოვნაა კურსების შინაარსზე სწავლა-სწავლების მეთოდების მორგება. დაწესებულების პოზიცია მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით შემდეგია: დასკვნის პროექტში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამაში გამოყენებულია სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებიც პროგრამაში წარმოდგენილია გაერთიანებული სახით. საგანმანათლებლო პროგრამაში ასევე მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში მისი თავისებურებებიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლა-სწავლების ის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც განაპირობებენ ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევას, ხოლო, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო კომპონენტით სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები და აქტივობები ასახულია სილაბუსებში. ექსპერტთა ჯგუფი ამას ადასტურებს სილაბუსების სიღრმისეული ანალიზიდან. დაწესებულება გაითვალისწინებს რეკომენდაციებს და სილაბუსებში ცალ-ცალკე იქნება გამოყოფილი სწავლა სწავლების მეთოდები და აქტივობები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნატალია ბარათელმა ისაუბრა შიდა ხარისხის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ იგი მუდმივად ითხოვს გაუმჯობესებას, რადგან როდესაც დაწესებულება გარკვეულ საფეხურს მიაღწევს იგი ეძებს ახალ კომპონენტებს თუ როგორ განამტკიცოს შეფასების სისტემა. მან განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები დაწესებულებას შემუშავებული აქვს, ამჟამად მათ არ ჰყავთ სტუდენტები ამ პროგრამაზე, თუმცა, სხვა პროგრამებზე ამას ისინი მუდმივად ახორციელებენ. მოცემულ პროცესში დაწესებულებას ხელს უწყობს სწავლის შედეგების, სილაბუსების, აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, საუნივერსიტეტო გარემოს, სასწავლო პროცესის შეფასება და ა.შ. ქ.ნ-მა ნატალიამ ასევე აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხზე მათ ივნისის თვეში ჩაატარეს კვლევა შიდა შეფასებების მიხედვით (რომელიც წარდგენილი ჰქონდათ ავტორიზაციის მიზნებისთვის) და შესაბამისად, უკუკავშირის მიღებაც განხორციელდება მოცემულ პროგრამაზე. მან ასევე ისაუბრა, რომ უკუკავშირის მიღება სტუდენტებისაგან რთულია და ეს პრობლემა ყველა უნივერსიტეტს აქვს, თუმცა, ისინი ახორციელებენ შეხვედრებს სტუდენტებთა ჯგუფებთან და ასევე ინტერვიუებს და ხარისხის კულტურა ნელ-ნელა ინერგება როგორც დაწესებულებაში, ასევე სისტემურადაც.

ექსპერტთა რჩევებთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი გაითვალისწინებენ მოცემულ რჩევებს.

**საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.**

საბჭოს წევრმა, ბატონმა პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ინსტიტუციას და მისი აზრით, ნამდვილად არ არის სავალდებულო ქეისები იყოს იმ ქვეყნის, სადაც ვახორციელებთ პროგრამას, მითუმეტეს როდესაც ბევრი მიმართულებით ქართული ქეისები არ გვაქვს. ბატონი პაატა მიესალმება რუსულ ენაზე პროგრამის განხორციელებას, და ამბობს, რომ რუსულად ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის აწყობა განსაკუთრებით საბაკალავრო დონეზე, მასალების კუთხით დიდ არჩევანს იძლევა, ასევე თანამედროვე ლიტერატურის მოძიება უფრო მარტივია, რადგან ბევრი მასალაა ნათარგმნი. მან ასევე კომენტარი გააკეთა ექსპერტების მოსაზრებებთან დაკავშრებით და უმეტესი ნაწილი გაიზიარა. რეკომენდაციებში, სადაც საუბარია ორ საგანზე: მენეჯმენტის პრიცნიპებზე და ორგანიზაციულ ქცევაზე - აქ გამოყენებულია თანამედროვე ლიტერატურა, თუმცა, არის საგნები სადაც არის რუსულენოვანი გამოცემები, რომელიც თანამედროვე ცოდნას არ პასუხობს და თემატურად დიდწილად არ

შეესაბამება ამ დარგის ცოდნას, ვინაიდან ამ ლიტერატურიდან სილაბუსებში პირდაპირ არის გარკვეული თავები გადმოტანილი. იგი ეთანხმება ექსპერტებს, რომ ეს პროგრამა თავისი მიზნებით არსებულ შედეგამდე ვერ გადის. ბატონმა პაატამ ყურადღება გაამახვილა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ სწავლის შედეგის („აცნობიერებს ბიზნესის კომპლექსური ეკონომიკის როლს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის“) მისაღწევად პროგრამას უნდა დაემატოს გარკვეული კურსები. იგი ეთანხმება ექსპერტებს, რომ ამ შედეგზე არსებული პროგრამა თავის მიზნებით ვერ გადის. მან კითხვით მიმართა როგორც დაწესებულების წარმომადგენლებს, ასევე ექსპერტებს: რამდენად სწორია ეს შედეგი, რაზეც მოცემული პროგრამა უნდა გავიდეს? მან ასევე დაამატა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა თავისი არსით ბიზნესის კომპლექსურ სურათს ვერ აძლევს და თავისთავად მდგრადი განვითარების ჩარჩოებში ვერ ჩასვავს. მისი აზრით, რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტებმა გასცეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგნების დამატების თაობაზე, რათა დაწესებულებამ მიაღწიოს ამ შედეგს, არ არის საჭირო, რადგან, მოცემული შედეგი საბაკალავრო პროგრამაზე არაა მისაღწევი. იგი განმარტავს, რომ მდგრადი განვითარება თავისთავად გულისხმობს სოციალურ, გარემო და ეკონომიკურ ფაქტორებს და ბიზნესის ადმინისტრირების არსი არ არის ის, რომ აღნიშნული იმ დონეზე ვისწავლოთ, რომ კომპლექსური აღქმა ჩამოგვიყალიბდეს. ეს უფრო სამაგისტრო პროგრამის დონის შედეგია, ინტერდისციპლინური პროგრამების და არა ზოგადი ბიზნესის ადმინისტრირების.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაეთანხმა საბჭოს წევრს და განმარტა, რომ დაწესებულებამ იმსჯელა იმ კუთხით, რომ თუკი ბიზნესის ადმინისტრირება ფართო ცოდნას მოიცავს, აღნიშნული მისაღწევი შედეგი ჩაემატოს პროგრამას. ასევე, აღნიშნა, რომ ზოგადად ნებისმიერი პროგრამა და განათლების სისტემა ქვეყნის მდგრად განვითარებას ემსახურება და დაწესებულება ვალდებულია მოამზადოს კვალიფიციური კადრი ეკონომიკური სისტემის მდგრადად ჩამოყალიბებისთვის. ასევე, ქალბატონმა მაია ჯეჯელაშვილმა აღნიშნა, რომ მათ კომპლექსური ცოდნა კი არა, არამედ კომპლექსური სფეროები აქვთ მითითებული: ბიზნესის ადმინისტრირების სფეროები (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი, აღრიცხვა) და არცერთ სილაბუსში არ აქვთ მითითებული, რომ რომელიმე სფეროს კომპლექსურ ცოდნას იძლევიან.
ბატონმა პაატამ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ იგი საუბრობდა მისაღწევ შედეგზე და დაამატა, რომ არსობრივად მდგრადი განვითარება ისეთი მოძღვრებაა, რომელიც გულისხმობს, რომ ისე ვმართოთ ქვეყნის რესურსები, რომ არ მოხდეს ე.წ. „გადახარჯვა“ და უფრო მეტად ვიზრუნოთ მომავალზე, ვიდრე აწმყოზე. ბიზნესის ადმინისტრირება თავის თავში მოიცავს უფრო მეტ მაქსიმალიზაციას და ზემოაღნიშნული არსობრივად ბიზნესის ადმინისტრირების შედეგი ვერ იქნება, რადგან პრინციპული შეუთავსებლობაა.
ერთ-ერთმა ექსპერტმა ამავე საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ რადგან პროგრამა არის ამოსავალი წერტილი ამ შედეგზე გასასვლელად, რა ინსტუმენტები დასჭირდებოდათ მათ - ამ ხაზით იმსჯელეს. როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური მდგრადი განვითარება ცალკე მოცემულობაა და მათ ალტერნატივა გამოუძებნეს პროგრამას როგორ შეიძლებოდა მიღწეულიყო ეს შედეგი.
საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი თურქიამ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება, რომ ექსპერტებს ჯობდა რჩევის სახით მიეცათ დაწესებულებისათვის მდგრადი განვითარების თაობაზე და კი არ გაეძლიერებინათ საგნებით მისაღწევი შედეგი, არამედ, გაემარტივებინათ პროგრამის მიზანი. ასევე, „მმართველობით აღრიცხვის“ წინაპირობად „ეკონომიკას“ არ ურჩევს დაწესებულებას და აქცენტის გაკეთებას ამჯობინებს ბიზნესზე, ვიდრე ეკონომიკაზე. მოცემულ საკითზე ექსპერტთა თავმჯდომარე არ დაეთანხმა საბჭოს წევრს.

საბჭოს წევრმა, ბატონმა რომეო გალდავამ იკითხა პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით, თუ სად და როგორ ვითარებაში გაივლიან პრაქტიკას სტუდენტები?
დაწესებულების წარმომადგენლმა უპასუხა, რომ მათ ფირმასთან აქვთ ხელშეკრულებები გაფორმებული და აღნიშნა, რომ დამსაქმებლები არიან რუსულენოვანები და მათი მხრიდან

გამოთქმულია დიდი მზაობა იმის შესახებ, რომ სტუდენტები პრაქტიკას აუცილებლად გაივლიან რუსულ ენაზე.
საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ნინო დობორჯგინიძემ დასვა შეკითხვა, თუ რატომ არის ქართული ენა არჩევითი საგანი. დაწესებულების წარმომადგენელმა ქალბატონმა ნატალია ბარათელმა უპასუხა, რომ მათ უცხოენოვან სტუდენტებთან ერთად ჰყავთ ქართველი სტუდენტები, რომლებსაც ვერ შესთავაზებდნენ ქართული ენის გავლას, რის შედეგადაც მათი დამატება მოხდა არჩევით საგნად. მან დაამატა, რომ დაწესებულებას აქვს უწყვეტი განათლების ცენტრი, სადაც ისინი ყველანაირად ხელს უწყობენ უცხოელ სუტდენტებს, რომ სოციალური ინტეგრირება შეძლონ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. მათ ასევე გამოაცხადეს მზაობა თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსით შესთავაზონ სტუდენტებს.
მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა დიმიტრი გეგენავამ შესთავაზა დაწესებულებას რომ პროგრამაში გააკეთონ დათქმა, რომლის მიხედვითაც ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულ ქართველ სტუდენტებს, რომლებმაც ქართული ჩააბარეს როგორც მშობლიური ენა, ამ ქართულის სავალდებულო კრედიტების ნაცვლად, შეუძლიათ გაიარონ თავისუფალი კრედიტების ფარგლებში ან სხვა საგნები, ან პროგრამის არჩევითი კურსები სპეციალობის სწავლის ძირითადი სფეროს ფარგლებიდან. მან დაამატა, რომ აკრედიტაციის სტანდარტებიდან გამომდინარე ქართული ენა სავალდებულოა.
დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვეს მზაობა.
ბატონმა დიმიტრიმ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ბიზნეს სამართლის საგანთან დაკავშირებით, რომ სავალდებულო ლიტერატურაში გამოყენებული აქვთ 2017 წლის „სამომხმარებლო სამართლის“ მესამე გამოცემა, რომელიც თემატიკის ნაწილს ფარავს, თუმცა ნაწილს ვერა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ ექნებოდა გარკვეული რჩევები: პირველი: ზოგადად ბიზნეს სამართლის საკითხი განაზოგადონ და საერთაშორისო ბიზნეს სამართლის ჭრილში გადაიტანონ, სადაც რუსულენოვანი წყარო ბევრია. მეორე ის, რომ რამდენიმე სტატიაა შედარებით სამართლებრივ კონტექსტში, რომელიც ადარებს ქართულ, რუსულ და ევროპულ კანონმდებლობებს, განსაკუთრებით საერთაშორისო კერძო სამართლის, შრომის სამართლის და საკორპორაციო სამართლის ჭრილში. ასევე ერთი სტატიაა სანივთო სამართლის შესახებაც. ბატონი დიმიტრის მოსაზრებით დაწესებულებისათვის და ასევე სტუდენტებისათვის კარგი იქნება თუკი მოცემული ლიტერატურით გაამდიდრებენ სილაბუსებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებენ რეკომენდაციას.
საბჭოს წევრმა, ქალბატონმა თამარ ტუფინაშვილმა დააზუსტა, რომ როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, 2.2 და 3 ქვესტანდარტში ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ნაწილობრივ არის შესაბამისობაში სასწავლო კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და ლიტერატურა შეუსაბამოა მინიჭებულ კრედიტებთან. როდესაც დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, მათ დააფიქსირეს, რომ იმისათვის, რათა ეს რეკომენდაცია ყოფილიყო დაკმაყოფილებული, დამატებითი ლიტერატურიდან მთელი რიგი სახელმძღვანელოები გადაიტანეს სავალდებულო ლიტერატურაში. მან შეკითხვა დაუსვა ექსპერტებს და სთხოვა გამოეთქვათ მათი აზრი, თუკი დაწესებულება დამატებით ლიტერატურას სავალდებულოში გადაიტანდა, სასწავლო კურსისათვის მინიჭებული კრედიტი იქნებოდა სრულ შესაბამისობაში სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან? ექსპერტთა თავმჯდომარემ მოცემულ შეკითხვაზე უპასუხა, რომ ძირითადი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები შეგვიძლია ინტერნეტში მოვიძიოთ, ასევე, არის გარკვეული სილაბუსები, რომლებიც აუცილებლად გავიდოდა შედეგზე, მაგრამ რამდენიმე, მაგალითად პროექტების მართვა შეიძლებოდა არ ყოფილიყო შესაბამისობაში. მან დაამატა, რომ თუკი გადაიტანენ უმეტეს საგნებში დადგება ეს შედეგი და დაწესებულების მხრიდანაც არის მზაობა ამის თაობაზე.

**სხდომაზ ეგამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 17:56**
**დასრულების დრო: 18:13**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის „ბიზნესის ადმინისტირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1,5 წლით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 1

**საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, პირველი სტანდარტი დაწია და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „ნაწილობრივად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ასევე დაწია მე-5 სტანდარტი და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.

**აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი, დაამატა და ჩა მოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:**

1. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების დახვეწა. კერძოდ, მნიშვნელოვანია მიზნები მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა.
2. მნიშვნელოვანია, რომ სწავლის შედეგის(„აცნობიერებს ბიზნესის კომპლექსური სფეროების როლს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის“) მისაღწევად პროგრამაში უნდა დაემატოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების და/ან მდგრადი ბიზნესგანვითარების კურსები, ან საკითხები თავად არსებულ კურსებში. სხვა შემთხვევაში აღნიშნული შედეგი პროგრამაში წარმოდგენილი კურსებით ვერ მიიღწევა. ასევე, ამ შედეგის გაზომვისათვის აუცილებელია, შესაბამის საკითხზე პროექტის მომზადება ანდა განხორციელება, შესაძლებელია გამოყენებული იქნას რთული კომპლექსური დავალება (სოლო ტაქსონომიის მიხედვით) და ამასთანავე სასწავლო პროგრამაში უნდა იყოს UN მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ https://sdgsgeorgiablog.wordpress.com/.
3. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობად განისაზღვროს რუსული ენა და ეს ადეკვატურად აისახოს შესაბამის დოკუმენტაციაში.
4. საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა დასაკონკრეტებელია, ამიტომ რეკომენდირებულია საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები გარდა პროფესიული პრაქტიკისა. (პროფესიული პრაქტიკის მიზნებს თუ შევხედავთ არ შეესაბამება საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობის აუცილებლობას);

5. სასწავლო კურსები ბიზნესის საფუძვლები და მეწარმეობა ძალიან გავს შინაარსობრივად ერთმანეთს. ამასთანავე, მეწარმეობა ნაკლებად შეესაბამება საუკეთესო სამეწარმეო ევროპული პრაქტიკის სასწავლო კურსს. შესაბამისად, რეკომენდირებულია მეწარმეობის სასწავლო კურსის ჩანაცვლება;
6. სასწავლო კურსები: „ბიზნესის საფუძვლები“, „მეწარმეობა“, „ფინანსების საფუძვლები“, „საგადასახადო საქმე“, „საჯარო ფინანსები“ და „ბიზნესის სამართალი“ არსებითად გადასახედია, რადგან მათში გამოყენებულ სასწავლო მასალებში ძირითადად რუსეთის ფედერაციის სამართლებრივი მოწყობის საკითხებია ასახული, აუცილებელია ამ კურსებში ინტეგრირებული იყოს ქართული და მსოფლიო მიდგომები;
7. რეკომენდირებულია, „კორპორაციული ფინანსების საფუძვლების“ წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ფინანსების საფუძვლების ნაცვლად, რადგან ამ კურსის შესწავლისას სტუდენტი კარგად უნდა კითხულობდეს ფინანსურ ანგარიშგებას, ხოლო ფინანსური აღრიცხვის წინაპირობად ბუღალტრული აღრიცხვის;
8. რეკომენდირებულია პროექტების მართვის წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლები, ოპერაციული მენეჯმენტის ნაცვლად.
9. საჭიროა პროგრამის ხელმძღვანელმა და კურსების ავტორებმა კარგად შეისწავლონ რუსულენოვან ბაზარზე არსებული მსოფლიო სასწავლო ლიტერატურის თარგმანები და მოახდინონ მათი გამოყენება სასაწავლო კურსებში;
10. სწავლა-სწავლების მეთოდების კურსების შინაარსთან შესაბამისობის უკეთ გამოსაკვეთათ, საჭიროა სილაბუსებში გამოყოფილი იქნას ცალ-ცალკე სწავლასწავლების მეთოდები და აქტივობები, რადგან სტანდარტის მოთხოვნაა კურსების შინაარსზე სწავლა-სწავლების მეთოდების მორგება;
11. უსდ-ს ხარისხის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს სტუდენტებისგან წარმომადგენლობითი უკუკავშირის მიღება. „ბიზნეს სამართალზე“ გადაიხედოს ლიტერატურა, გამრავალფეროვნდეს წყაროებით და კონცენტრაცია მოხდეს საერთაშორისო, საქართველოსა და შედარებით კონტექსტში;
12. ლიტერატურა გამრავალფეროვნდეს თანამედროვე ლიტერატურით, მათ შორის რუსულ ენაზე თარგმნილი თანამედროვე ავტორებითა და ადექვატური სახელმძღვანელოებით;
13. ქართული ენის მოდული სავალდებული იყოს იმ სტუდენტებისათვის, რომლებისთვისაც მშობლიური ენა არ არის ქართული ან არ ფლობენ ქართულ ენას სათანადოდ.

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^2$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-$3^2$ ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს უმაღლესი სასწავლებელი მილენიუმის „ბიზნესის ადმინისტრირების“ რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია წელიწადნახევრის ვადით.

**2. მეორე საკითხი:** სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

| № | **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნეს-ინფორმატიკა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა | 02.05.2019; N111 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | კვალიფიკაციის დასახელება | ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი |
| 8 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 9 | სწავლების ენა | ქართული |
| 10 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 11 | განხორციელების ადგილი | ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.122ა უნივერსიტეტის II კორპუსი. საქართველო 0800 |
| 12 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

ექპერტი ნანი არაბულმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 7 სექტემბერს. აღნიშნულმა პროგრამამ რეაკრედიტაცია გაიარა 2019 წელს, თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა პირობოთი აკრედიტაცია წელიწადი და ექვსი თვის ვადით.
მისი თქმით, 2019 წლის აბსოლუტურად ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალსიწინებული დაწესებულების მხრიდან.
ექსპერტემბა ამჟამინდელი რეკომენდაციები განსაზღვრეს შემდეგნაირად:

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს უცხო ენა და ჩაიწეროს - ინგლისური ენა და ცოდნის დონე B2.
2. დაზუსტდეს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე: „პრაქტიკა“, „ბიზნეს-მოდელირების კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ბიზნესინგლისური“.
3. სასწავლო კურსი „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ შინაარსი გაძლიერდეს მაგისტრატურის დონის შესაბამისად.
4. კურსში „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ ჩაემატოს უკაბელო კომუნიკაციების საკითხები.
5. სასწავლო კურსის „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება“ შეიცვალოს სხვა კურსით, რომლშიც შეისწავლება კიბერუსაფრთხოების და კიბერთავდაცვის საკითხები.
6. დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გათვალისწინებული იქნეს სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.
7. რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს მოცემული პროგრამისთვის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პ ოზიცია.**
დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი აცხადებს ყველანაირ მზაობას რეკომენდაციების გათვალისწინების მხრივ. ონალინ სწავლებაზე გადასვლამ მათ ხელი შეუწყოთ მნიშვნელოვანი კონტაქტები დაემყარებინათ საერთაშორისო მიმართულებით. . დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს თავად აქვს სურვილი გახდეს სერიოზული დონის საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორი ინფორმაციების ტექნოლოგიების მიმართულებით.
მან ასევე აღნიშნა, რომ გაითვალისწინებენ რეკომენდაციას და პროგრამის დაშვების წინაპირობაში დააკონკრეტებენ ინგლისურ ენას და ცოდნის დონე B2-ს..
ასევე, დაამატა, რომ მეორე რეკომენდაცია გაითვალისწინა დაწესებულებამ და მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაამატეს გარკვეული საკითხები, რითიც გაძლიერდა მოცემული კურსი მაგისტრატურისათვის შესაფერისი საკითხებით. ასევე, გათვალისწინებულია მეოთხე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა „ქსელური ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების“ კურსში უკაბელო კომუნიკაციების საკითხების ჩამატებას.მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომძველ სილაბუსში მათ აქცენტი გაკეთებული ჰქონდათ კრიფტოგრაფიაზე და კრიფტოგრაფიულ ალგორითმებზე, რომელიც უფრო მეტად თეორიული კურსს მოიცავდა, თუმცა ამჟამად დაწესებულებამ მოიძია ორი სახელმძღვანელო, რომელიც რეკომენდაციის გათვალისწინების

მიზნით იქნება დამატებული. ეს სახელმძღვანელოებია: ერთი,ამერიკის შეერთებული შტატების სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ნაციონალური ინსტიტუტის გამოცემა და მეორე, 2018 წლის გამოცემა -''Cybersecurity Program Development for Business''. მოცემულ სახელმძღვანელოებთან ერთად ისინი ასწავლიან კონსპექტს ინფორმაციული უსაფრთოხების ტექნოლოგიების შესახებ. დაეწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მოცემული სახელმძღვანელოების ერთობლიობით შეიქმნა კარგი სილაბუსი, რომელსაც უკვე ასწავლიან მეორე სემესტრიდან. იგი ამატებს თუ რა საკითებზეა ყურადღება გამახვილებული მოცემულ სილაბუსში: ბიზნესის კიბერრისკების შეფასება, საფრთხეების ანალიზი, ბიზნესის კიბერ უსაფრთხოების პოლიტიკა, ბიზნესის მდგრადი ტექნიკური აღჭურვილობის როლი კიბერთავდაცვაში, ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის ფაიერვოლები, ვირუსები, ანტივირუსული პროგრამები და ა.შ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ბატონმა რომეო გალდავამ მიმართა დაწესებულებას კითხვით, მას აინტერესებდა რითი იყო განპირობებული სახელწოდება ბიზნეს ინფორმატიკა, მაშინ როდესაც სტუდენტს ენიჭება ინფორმატიკის მაგისტრის ხარისხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის მიზანია კომპიუტერული ტექნოლოგიების ბიზნესთან ინტეგრირება, რათა უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად შრომის ბაზარი უზრუნველყოფილ იქნას მაღალკვალიფიური კადრებით, რომლებიც ბიზნესის სფეროსათვის შექმნიან თანამედროვე ინფორმაციულ თუ პროგრამულ რესურს. პროგრამაში ერთმანეთთან შერწყმულია როგორც ბიზნესის ყველა მიმართულება (მარკეტინგი, მენეჯმენტი, ფინანსები, ადამიანური რესურსები), ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა მიმართულება. სახელი - ბიზნეს ინფორმატიკა მათი თქმით, სწორედ აქედან მოდის, ხოლო კვალიფიკაციას რაც შეეხება, ვინაიდან უმეტესობა საგნებისა არის ინფორმაციული ტექნოლოგიებისდა მისანიჭებელი კვალიფიკაციაც შესაბამისია.

ბატონმა რომეომ ასევე იკითხა აქვთ თუ არა სტუდენტებს დაცული სამაგისტრო ნაშრომები და რომელ თემებზე. ექსპერტმა, ქალბატონმა ნანი არაბულმა უპასუხა, რომ მათ შეამოწმეს ნაშრომები, რომლებიც ძირითადად პრაქტიკული იყო, ასევე იყო კვლევითი კომპონენტიც. ერთ-ერთი ნაშრომი, რომლებიც ექსპერტებმა შეამოწმეს იყო ის, რომ სტუდენტს ჰქონდა აგებული ბიზნეს მოდელი, რომელიც ეხებოდა შეტევებს. დაწესებულების წარმომადგენელმა ნაშრომების თემებთან დაკავშირებით წაიკითხა სათაურები: „პერსონალის მართვა ინფორმატიზაციის სფეროში“, „მცირე ბიზნესის ეკონომიკური ანალიზის კომპიუტერული მოდელირება“, „პროგრამული კომპლექსის შექმნა მიწაში არსებული გვირაბების ელექტრომაგნიტური თვისებების შესასწავლად“, „საინფორმაციო მომსახურების ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა“, „პერსპექტივები სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაგალითზე“.

ბატონმა რომეომ ასევე იკითხა უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით მოცემულ პროგრამაზე, რადგან დაწესებულებას უწერია, რომ იღებენ სტუდენტებს, რომლებმაც გაიარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ტესტი. მას აინტერესებდა რას მოიცავდა აღნიშნული ტესტი. ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ სტუდენტების მისაღებად დაწესებულებას ორივე მიმართულებით აქვს გამოცდა (ბიზნესის და ინფორმატიკის) და მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25 ქულა. ექსპერტმა მაქსიმ იავიჩმა დაამატა, რომ დაწესებულება იღებს იმ სტუდენტებს, რომლებსაც შესაბამისი აიტი საფუძველი აქვთ. ბატონმა რომეომ მიმართა დაწესებულებას, რომ უმჯობესი იქნება თუკი მიუთითებენ რა სახის ტესტზეა საუბარი.

საბჭოს წევრმა, ქალბატონმა თამარ ტუფინაშვილმა მიმართა ექსპერტებს შეკითხვით თუ რამდენად არის პროგრამის შინაარსი უშუალოდ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში. ასევე მან მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს და სთხოვა განემარტა შემდეგი: შედეგების შეფასების რუკაში უწერიათ კრებსითი გამოცდა მესამე სემესტრის ბოლოს. ასევე, მან

გადახედა შედეგების, კურიკულუმის რუკას, სადაც არ ხდება პირველი და მეორე შედეგის განმტკიცება ამ კურიკულუმის რუკის მიხედვით. მას აინტერესებს როგორ აფასებს დაწესებულება ამ შედეგებს და რას ნიშნავს ზოგადად მოცემული კრებსითი გამოცდა.
ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხზე, კურიკულუმის რუკაში აცდენასთან დაკავშირებით მათ დაწესებულებას რჩევაში დაუწერეს. ასევე დაამატა, რომ მოგვიანებით დაწესებულებამ მიაწოდა დოკუმენტები, რომელშიც უკვე სწორად იყო დალაგებული აღნიშნული საკითხი. რაც შეეხება კვალიფიკაციას, ამჟამად რეგულირდება 69/ნ ბრძანებით და ადასტურებს, რომ ეს პროგრამა ნამდვილად გადის 06 კლასიფიკატორზე. კურსში გასავლელი საგნები არის 50 პროცენტზე მეტი ინფორმატიკის დარგობრივი საგნები და ბიზნესი და ინფორმატიკა ერთმანეთთან აქვთ დაკავშირებული მოცემული საგნებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა კრებსითი გამოცდის თაობაზე აღნიშნა, რომ მაგალითად, თუკი ავიღებთ სწავლის შედეგ 2-ს, რომელზეც გადის 7 საგანი, აკეთებენ 100 ქულიან კრებსით ტესტს და ამ ტესტის პასუხების ანალიზის შედეგად დებენ დასკვნას რამდენად არის მიღწეული ეს შედეგი. საბჭოს წევრმა, ბატონმა პაატა ბრეკაშვილმა სთხოვს დაწესებულებას დაეზუსტებინა, კრებსითი გამოცდით ფასდება ის თემატიკა, რაც წინა გამოცდით უკვე შეფასებულია? დაწესებულებამ განუმარტა, რომ თუ პირობითად მეორე შედეგზე ხუთი საგანი გადის და სტუდენტმა ამ ხუთი საგნის 100 ქულიდან პირობითად 20 ქულა მიიღო, გამოდის, რომ იმ შედეგზე ვერ გავიდა. კრებსითი გამოცდა და შედეგების შეფასება არ მოქმედებს სტუდენტის სასწავლო კურსის ფარგლებში შეფასებაზე. შედეგების შეფასება ცალსახად ემსახურება პროგრამის განვითარებას და მუდმივ მონიტორინგს. აღნიშნული სავალდებულოა და არ მოქმედებს მათ აკადემიურ მიღწევებზე.
ბატონმა პაატამ ასევე მიმართა დაწესებულებას ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით საგნებზე და აღნიშნა, რომ მათ აბსოლიტურ უმრავლესობას სტრატეგიული ხასიათი აქვს. არის ასეთი საგნები, ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში, სტრატეგიული ბრენდ-მენეჯმენტი, სტრატეგიული მარკეტინგი. რამდენად შესაბამისია ეს საგნები მოცემულ კვალიფიკაციაზე რომ გავიდეს სტუდენტი? მაგალითად, „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“ - ეს არის საგანი, როდესაც ეიჩარებისთვის ხდება მომზადება და მათ უკვე გავლილი უნდა ჰქონდეთ სტრატეგიული მენეჯმენტი, ეიჩარ მენეჯმენტი როგორც ზოგადი, ისე პრინციპებიდან ძლიერ ეტაპზე გარდამავალი და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება სტრატეგიული ეიჩარ მენეჯმენტის სწავლა და პროგრამაში პირდაპირ სტრატეგიულ ეიჩარ მენეჯმენტს ასწავლიან და რამდენად არის ეს პროგრამის მიზანი? დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიზნესის მიმართულების მხრივ არ ესწრება მათი თანამშრომელი და მოცემულ კითხვაზე ვერ გასცემს პასუხს თავად. ექსპერტმა დაამატა, რომ თავადაც დასვეს აღნიშნული შეკითხვა და დაწესებულების შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლებისაგან მიიღეს პასუხი, რომ მისაღებ გამოცდაში მენეჯმენტის და ეიჩარის ზოგადი საკითხები და ის საკითხები, რომლებიც წესით პრე-რეკვიზიტი უნდა იყოს სტრატეგიულად მეორე დონის მენეჯმენტისათვის, შესულია მისაღებ საგამოცდო საკითხებად. სტუდენტებთან გასაუბრებისას მათ ერთი დეტალი აღნიშნეს, რომ შეკითხვები გამოცდებზე არ იყო მარკეტინგის მიმართულებით. ეს საკითხი ექსპერტებმა შეიტანეს რჩევებში.
სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ამ დონის და ამ სიღრმის საგნები ერთი მხრივ, ძნელია, რომ არასპეციალისტმა აითვისოს, რომელსაც არ ჰქონია საფუძველი და ლოგიკურად არ აგრძელებს სწავლას და მეორე არის სწავლების საჭიროება, რამდენად არის მიზანშეწონილი თვითონ პროგრამის ბუნებიდან და იმ კვალიფიკაციიდან გამომდინარე, რომ იგი ინფორმატიკის კვალიფიკაციას იძლევა და არა ბიზნესის, ისწავლოს სწორედ სტრატეგიული მენეჯმენტის და ბიზნესის ადმინისტრირების საკითხები და არა ის, რაც უშუალოდ შინაარსობრივ ბმაში იქნებოდა უშუალო კვალიფიკაციასთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რჩევებიდან მათ გაითვალისწინეს მარკეტინგის საგნების დამატება ბიზნესის მიმართულებით. იგი აღნიშნავს, რომ სტუდენტებმა,

რომლებმაც გაიარეს აღნიშნული საგნები, მათთვის რთული არ იქნება მოცემულ პროგრამაზე ადაპტირება.

საბჭოს წევრს, ბატონ ნიკა თიკანაშვილს აინტერესებდა თუ რა გარემოში უწევთ მაგისტრებს პრაქტიკების გავლა და როგორ ხდება შემდგომ მათი დასაქმება. ამასთანავე, რამდენადაა კავშირშიპროგრამა როგორც ბიზნესის ისე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან, ვინაიდან ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საკმაოდ აქტუალური საკითხია.
დაწესებულებამ განმარტა, რომ წელს პირველი წელია როდესაც კურსდამთავრებულები გაუშვეს პრაქტიკაზე, უძრავი ქონების მომსახურების ფირმა „სერვის ჰაბსა“ და „თეგეთა მოტორსის“ განყოფილებაში, სადაც სტუდენტები ეცნობიან ორგანიზაციის სტრუქტურას, აიტი ინფრასტრუქტურას და სამომხმარებლო პროგრამებს. ისინი ორგანიზაციაშივე იმტკიცებენ იმ ცოდნას რაც მიიღეს. მათ დაამატეს ისიც, რომ ამ პრაქტიკით ისინი უფრო მაღალი საჭირო უნარებით არიან შეირაღებულები და რეგიონში მათზე ძალიან დიდი მოთხოვნაა.
საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი თურქიამ მიმართა დაწესებულებას და ექსპერტებს, რომ არსად არაა საგანი, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს ისწავლონ თანამედროვე სისტემური პროგრამების ინსტალაცია. ასევე ბიზნესის მოდელირების საგანი რას გულისხმობს?
ექსპერტთა თავმჯდომარემ უპასუხა, რომ მათ აქვთ საგანი „ბიზნესის ანალიზი“, ასევე, „მონაცემთა მენეჯმენტის თანამედროვე სისტემები“, რომელსაც კითხულობენ ინფორმატიკის დოქტორები და შესაბამისად, ისეა აგებული შინაარსობრივად რომ ასწავლის მონაცემთა ანალიზს, ბიზნეს ამოცანების გადაწყვეტას და ბიზნეს მოდელების შექმნას. სილაბუსში კონკრეტულად იყო გაწერილი აღნიშნული ამოცანები.ბატონმა გიორგი თურქიამ დაწესებულებას თანამედროვე პრაქტიკული საკითხებით საგნების გაძლიერებისკენ მოუწოდა, რაზეცუნივერსიტეტმა გამოთქვა მზაობა. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მათ აქვთ სისტემური ანალიზის თეორიის საგანი, ბიზნეს მოდელირების ინსტუმენტული და კომპიუტერული ტექნოლოგიები, რაც გულისხმობს, რომ ისინი ბიზნეს სფეროს მოდელს ქმნიან, ხოლო შემდეგ ბიზნეს სფეროს უქმნიან პროდუქტს.
საბჭოს წევრმა, ბატონმა ნიკა კიკნაძემ მიმართა ექსპერტებს და სთხოვა კონცენტრციასთან დაკავშირებით განემარტა რას გულისხმობენ. მან ასევე გამოთქვა მოსაზრება პროგრამის სტრუქტურა და შინაარსთნ დაკავშირებით, სადაც ჩამოთვლილია როგორც სავალდებულო, ასევე, არჩვითი კურსები და აქვეა დათქმა ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო კურსები. რამდენად შეიძლება იყოს ძირითადი სწავლის სფერო, რომელიც არის კომპიუტერული ტექნოლოგიები ამ შინაარსის კურსები, სტრატეგიული მარკეტინგი, სტრატეგიული მენეჯმენტი გლობალურ გარემოში, ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, სტრატეგიული ბრენდმენეჯმენტი, აგრო-ბიზნეს მენეჯმენტი.
ექსპერტმა განმარტა, რომ მან იხელმძღვანელა 69/ნ ბრძანებით და აღნიშნა რომ ამ პრგორამაში უმეტეს საგნებში ისწავლება ტექნოლოგიური საკითხები და სილაბუსიც ამგვარადაა აგებული.
კითხვის მეორე ნაწილზე ისაუბრა ბატონი ნიკას შეკითხვის მეორე ნაწილზე და განმარტა, რომ სტუდენტი ბიზნესის სფეროს 3 საგნიდან ირჩევს ერთს (არჩევითი კურსები) და ინფორმაციული ტექნოლოგიების 5 საგნიდან ასევე ერთს. ეს არის ორი არჩევითი კურსი ერთი ბიზნესის სფეროდან და ერთი ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროდან, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ არჩევის საშუალება.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 19:37**
**დასრულების დრო: 19:53**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნეს-ინფორმატიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

**საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

**აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი, დაამატა და ჩა მოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:**

1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში დაკონკრეტდეს უცხო ენა და ჩაიწეროს - ინგლისური ენა და ცოდნის დონე B2.
2. დაზუსტდეს სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები შემდეგ სასწავლო კურსებზე: „პრაქტიკა“, „ბიზნეს-მოდელირების კომპიუტერული ტექნოლოგიები“, „ბიზნესინგლისური“.
3. სასწავლო კურსი „ობიექტ-ორიენტირებული პროგრამირება (C++/C#)“ შინაარსი გაძლიერდეს მაგისტრატურის დონის შესაბამისად.
4. კურსში „ქსელური ტექნოლოგიები და კომუნიკაციები“ ჩაემატოს უკაბელო კომუნიკაციების საკითხები.
5. სასწავლო კურსის „ინფორმაციის დაცვა და უსაფრთხოება“ შეიცვალოს სხვა კურსით, რომლშიც შეისწავლება კიბერუსაფრთხოების და კიბერთავდაცვის საკითხები.
6. დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გათვალისწინებული იქნეს სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა.
7. 7. რეკომენდირებულია უსდ-მ დანერგოს მოცემული პროგრამისთვის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართვას.
8. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა არის ბიზნეს-ინფორმატიკის, ბიზნესის მიმართულებით გადაიხედოს და დაიხვეწოს საგნების თემატიკა, ჩამოყალიბდეს სტრატეგიულიდან ოპერირების დონეზე.

**გადაწყვეტილება**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

"ბიზნეს-ინფორმატიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენით.

**მე-3 საკითხი საბჭომ განსახილველად გადადო 2020 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე.**

**საბჭოს სხდომა დასრულდა 20:00 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა